Mzia Jamagidze
მზია ჯამაგიძე
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი

Concept of Heterotemporality in the Novel "A Lizard on the Grave Stone " by Archil Kikodze

ჰეტეროტემპორალობის კონცეფცია არჩილ ქიქოძის რომანში „ხვლიკი საფლავის ქვაზე“

Georgian literary process of the 21st century shows that along with modern challenges, Georgian literature is actively incorporated in re-determining and re-identifying national time and space. Many fictional texts are created to evaluate and overcome the national past and traumas and simultaneously recall forgotten pasts and narratives to redefine and recreate modern national narratives. This paper aims to discuss one such strategy- the concept of heterotemporality by analyzing the novel “A Lizard on the Grave Stone" (2021) by Archil Kikodze. We analyze how the writer envisions the national culture's perspective and place in global space.

Keywords: Georgian Literature, Heterotemporality, National time
საკვანძო სიტყვები: ქართული ლიტერატურა, ჰეტეროტემპორალიტეტი, ეროვნული დრო

21-ე საუკუნის ქართულ ლიტერატურზე თვალის გადევნება დაგვანახებს, რომ არსებული გლობალური თუ ლოკალური გამოწვევების შესაბამისად, ქართული მწერლობა აქტიურად არის ჩართული ლოკალური/ნაციონალური სივრცისა და დროის ხელახალი თვითგანსაზღვრისა და თვითიდენტიფიკაციის პროცესში. იქმნება არაერთი მხატვრული ტექსტი, რომელშიც მთავარი ფოკუსი, ერთი მხრივ, წარსული გამოცდილებისა და ტრავმების გადამუშავება და შეფასება და ამასთანავე – დავიწყებული ისტორიის გახსენებაცაა, რის საფუძველზეც თანამედროვე ნაციონალური კულტურული ნარატივები იქმნება;

პოსტკოლონიურ კვლევებში არაერთი სამეცნიერო თეორია და კონცეფცია იქმნება იმისთვის, რომ პოსტკოლონიურ ეტაპზე მყოფ ერებს გლობალურ სივრცესთან კომუნიკაცია და ინტეგრაციის პროცესი გაუმარტივდეთ. ამჯერად მოხსენებაში განვიხილავთ ჰეტეროტემპორალობის კონცეფციას არჩილ ქიქოძის რომანის ,,ხვლიკი საფლავის ქვაზე“ (2021) მაგალითზე. ვიმსჯელებთ, როგორ აყალიბებს მოდერნიზებულ ქართულ კულტურულ/ნაციონალურ იდენტობას სივრცის ჰეტერეტემპორალური აღქმა და როგორ წარმოისახავს მწერალი ნაციონალური კულტურის პერსპექტივასა და ადგილს გლობალურ სივრცეში.

ჰეტეროტემპორალობის კონცეფცია თანამედროვე პოსტკოლონიურ კვლევებში დროისა და ისტორიის ურთიერთმიმართების საკითხის ანალიზს გულისხმობს და გამოიყენება ლიტერატურული ტექსტების, ისტორიული ნარატივებისა და კულტურული პრაქტიკების გასაანალიზებლად. უფრო კონკრტულად, მოიცავს ცალკეულ გეოგრაფიულ სივრცეებში განსხვავებული დროითი ცნობიერების ფორმებისა და მათი ურთიერთქმედებისა თუ თანაკვეთის პრაქტიკების შესწავლას. ამ კონცეფციის ერთ-ერთი ავტორის, დეპიშ ჩაკრაბარტის აზრით, თანამედროვე მსოფლიოში ერთიანი გლობალური ბაზრის პოლიტიკა კულტურებისა და აზროვნების გაერთმნიშვნელოვნებისა და ჰომოგენურობის საფრთხეებს წარმოშობს, განსაკუთრებით მცირე ქვეყნების კულტურებისთვის. ამ გამოწვევის პასუხად, ის გვთავაზობს თანაბრად ღირებული მოდერნულობების სხვადასხვა გეოგრაფიულ ადგილას სხვადასხვა დროითი ცნობიერებით გამრავლებას. „ჰეტეროტემპორალობა“ ანუ დროების სიმრავლე თანამედროვე გეოპოლიტიკურ წარმოსახვასა და დისკურსში უარყოფს იმ აზრს, რომ არსებობს დროის ერთი მეტანარატივი, რომელიც განსაზღვრავს თანამედროვე დროით გამოცდილებას. ამის საპირისპიროდ, ჰეტეროტემპორალობის კონცეფცია არის დროის აღქმაზე დაფუძნებული აზროვნების წესი და ცხოვრების ფორმა, პროცესი, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია განსხვავებული დროის აღქმის მქონე ადამიანებისა თუ საზოგადოებების ერთმანეთთან ურთიერთობა და ის კულტურული პროდუქტი, რასაც ეს ურთიერთქმედების პროცესი წარმოშობს. ისტორიკოსი პართა ჩატერჯე ასეთი პრაქტიკის მაგალითებად განიხილვს ადამიანის ტექნიკასთან დამოკიდებულებას, როცა მას არ მოიხმარენ მანამ, სანამ ამა თუ იმ რელიგიის წარმომადგენელი სასულიერო პირი, სათანადო რელიგიურ რიტუალებს არ შეასრულებს, მაგალითად, არ აკურთხებს; ანდა ბიზნესმენი არ დადებს საქმიან გარიგებას, სანამ ასტროლოგთან კონსულტაციას არ გაივლის და ა.შ; მისი აზრით, სწორედ ამგვარი ჰეტეროტემპორალური ცნობიერებით დასახლებულ ადგილებს წარმოადგენს თანამედროვე სამყარო (Chatterjee, 1999, გვ. 132).

თუმცა სამეცნიერო სივრცეში არსებობს ჰეტეროტემპორალობის სრულიად საპირისპირო გაზრებაც, რომელიც ანთროპოლოგ იოანეს ფაბიანს ეკუთვნის. იგი წიგნში ,,დრო და სხვა: როგორ ქმნის ანთროპოლოგია თავის ობიექტებს“ (1983) ამტკიცებს, რომ ჰეტეროტემპორალობის იგივე მრავალი დროების კონცეფცია თავად დასავლური ნარატივია, რომლიც გამიზნული და შექმნილია იმისთვის, რომ შეინარჩუნოს ე. წ. „სხვები“ დაქვემდებარებულის/განსხვავებულის სტატუსით თავისი კონტროლის ქვეშ, რადგან ასეთ ტემპორალობებს დამოუკიდებლად არ შესწევთ უნარი მოდერნული დასავლური სეკულარული დროითი ცნობიერების ალტერნატივებად იქცნენ. ფაბიანის აზრით, ე. წ. არადასავლეთის, ჰეტეროტემპორალური აღქმა და რეპრეზენტაცია თავისთავად აქცევს მას დასავლეთის ჩამორჩენილ ნაწილად, ან დასავლეთთან სივრცითად და დროულად გამიზნულად დისტანცირებულ ადგილებად. ამ დისკურსს ფაბიანი "ალოქრონიზმს," ,,თანასწორობის უარყოფას“ უწოდებს და ამტკიცებს, რომ სწორედ ჰეტეროტმპორალური აღქმა იწვევს სხვის ობიექტივიზებას და ირიბად ემსახურება იმპერიალიზმსა და ნეოკოლონიალიზმს. ამგვარად, ფაბიანის მიაჩნია, რომ თანამედროვე გლობალური კაპიტალიზმი არის „გადაულახავი ჰორიზონტი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ შეიძლება სივრცითად გაფართოვდეს, მაგრამ ისე, რომ არ იყოს გააზრებული და, შესაბამისად, რელატივიზებული – დროისა და ცვლილების თვალსაზრისით“. (Fabian 2014, 143-144) დიფერენციალური და არათანაბარი დროები კი უბრალოდ დასავლური კონსტრუქციაა კოლონიური ძალაუფლების სამსახურში.

ცხადია, დროის გააზრებისა და ნაციონალური დროითი ცნობიერების შექმნის პროცესში მწერლობას განსაკუთრებული როლი აკისრია. ამ თვალსაზრისით, ქართული მწერლობის ანალიზი საინტერესოა, ერთი მხრივ იმიტომ, რომ ჩვენ, კულტურული იდენტობის თვალსაზრისით, მუდმივად მოვიაზრებთ საკუთარ თავს დასავალური ცივილიზაციის ნაწილად, თუმცა ხანგრძლივი კოლონიზაციის გამოცდილებების გამო საუკუნეების განმავლობაში დასავალური დროითი ნარატივიდან მუდმივად გავაქვს ე. წ. „ამოვარდნები მრავალჯერადი წყვეტების, შებრუნებების, ინერციების“ (მბეგე, 2001) სახით. ამიტომ საინტერესოა, დღეს თანამედროვე ქართული მწერლობა

ლიტერატურული ნარატივებით როგორ წარმოადგენს ნაციონალურ დროს, სად ვიმყოფებით ახლა, სად ხედავს მწერლობა ნაციონალური არსებობის პერსპექტივას. სწორედ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ არჩილ ქიქოძის რომანს ,,ხვლიკი საფლავის ქვაზე."

რომანში ორი დროითი ნარატივი უპირისპირდება ერთამანეთს. ერთი დროითი განცდა სიმბოლიზებულია გიგოს პერსონაჟში, რომელიც მითოსური დროისა და დასავლური სეკულარული დროის ჰიბრიდიზაციით ცდილობს საკუთარ სამშობლოში თანამედროვე ნაციონალური ჰეტეროტემპორალური დროის შექმნას. გიგო წარმოშობით მთიელია, მთხრობელის ბავშვობის მეგობარი, პროფესიით მხატვარი, რომელმაც გერმანიაში ცხოვრების პერიოდში იქ თავის დამკვიდრება გერმანელი გალერიის მფლობელი ქალის დახმარებით შეძლო. ეს პერსონაჟი ორგანულად ატარებს ორ დროით ცნობირებას – მითოსურს/პრეისტორიულს ანდა პრემოდერნულს და დასავალურ/სეკულარულს. მისი მცდელობები კი აწმყოში ამ ორი დროის ჰიბრიდიზაციისკენ არის მიმართული. გიგოს რომ მთხრობელისგან განსხვავებული დროითი ცნობიერება და მგრძნობელობა აქვს, ეს რამდენჯერმეა ტექსტში ხაზგასმული. გერმანიიდან დაბრუნებული ის ბავშვობის მეგობრებს შეკრებს და მთხრობელის თქმით, ისე იქცევა თითქოს ამდენი წელი ერთმანეთის გარეშე არ ეცხოვროთ. მაგალითად, *„გიგო ისე მელაპარაკებოდა თითქოს აქვე იყო. თითქოს საერთოდ არ წასულიყო არსად, წლობით არ გადახვეწილიყო"* (გვ 76). ამის დასტურია ასევე ის ფაქტი, რომ გერმანიიდან სპეციალურად ბრუნდება მთის რიტუალური წესის თუ ტრადიციის შესასრულებლად, რაც ორი მოსისხლე გვარის ერთმანეთთან შერიგებას გულისხმობს და ამ რიტუალურ წესში მონაწილეობას სთხოვს მთხრობელსაც. ცნობილია, რომ მითოსური ან/და პრეისტორიული ცნობიერება დროის გააზრების ქრონოლოგიურ პრინციპს არ ეფუძნება. ის მოიცავს ციკლურ ცნობიერებას და ფაბიანის ანთროპოლოგიური კონცეფციით, გულისხმობს არა აწმყოში ცხოვრებას, არამედ წარსულში არსებობას (Fabian, 2014, გვ.153). დროის შესახებ თეორიებში ესენციალური მითოსური დროები მუდმივად წარსულია, რომელიც არ ვითარდება და სხვადასხვა დროით ციკლში ერთი და იმავე შინაარსების გამეორებას ახდენს. შესაბამისად, არც განვითარებისა და ტრანსფორმაციის პოტენციალი გააჩნია. ციკლური დროითი ცნობიერებით მომავლის პერპექტივის შექმნა რომ შეუძლებელია, ტექსტის მიხედვით, ამის დასტურია მთხრობელის მამის ცხოვრებაც, რომელსაც ავტორი შემდეგგვარად აღწერს. *„მაშინ მამაკაცების მთელმა თობამ ერთი ათწლეულით საბანი გადაიფარა თავზე და როცა გადაიხადა, აღარ მოეწონა, რაც იქ დახვდა. მამა ავად რომ არ ყოფილიყო, ვინ იცის რას მოიფიქრებდა, მაგრამ ავადმყოფმა ეს მოიფიქრა, ახალ რვეულში თავიდან იწერდა მთელ ნაშრომს და ასე თითქმის უსასრულოდ. ეს იყო მისი გზა. წერდა სანამ შეეძლო და სულ უფრო ხვეწდა კალიგრაფიას. არა მგონია, ეს ჰქონოდა მიზნად, მაგრამ ასე გამოუვიდა. მისი უკანასკნელი დაუმთავრებელი რვეული შედევრი მგონია, მაგრამ არა მეცნიერეული, არამედ – კალიგრაფიული"* (გვ. 59). ამ ნაწყვეტით დასტურდება, რომ გიგოს მსგავსად, გვიანსაბჭოთა პერიოდის და 90-იანი წლების ქართველმა ინტელექტულებმაც ვერ შეძლეს ახალი ნაციონალური დროითი ცნობიერების შექმნა და უბრალოდ რეალობის გადამწერებად იქცნენ, ნაცვლად იმისა, რომ გაეაზრებინათ და გარდაექმნათ არსებული სივრცე და რეალობა. გიგოც უშედეგოდ ცდილობს ალტერნატიულ ჰეტეროტემპორალური დროებითობის შექმნას, რადგან თვალსაჩინოა, რომ თავად ნაციონალურ მითოსურ ცნობიერებას აღარ გააჩნია რესურსი და არსებული რეალობის განახლების პოტენციალი. ტექსტის მიხედვით ამის ნათელი დასტური ბერლინში მოწყობილი გიგოს გამოფენაა. მართალია, ნაციონალურ თემატიკაზე შესრულებული მისი ნახატები მოწონებით სარგებლობს, თუმცა მთხრობელის თქმით, ,,*გიგოს ნახატებს ის სჭირს, რაც თავდ გიგოს[...]გიგო ტყვეა იმ მოტივების და ამბების ბავშვობიდან რომ ესმოდა. თვითონ დაიდო ეს ბორკილი და გასაღებიც შორს მოისროლა. [...] რადგან დაიჯერა, რომ მთის გარეშე დაიღუპება, მთავარს დაკარგავს, რაღაც ცოდნას, ურომლისოდაც გიგო გიგო აღარ იქნება. იმ ცოდნას, რომელიც ევროპელი კი არა ქართველი ბარელიც ვერ გაიგებს და რაც მეტს ეცდება გაიგოს, მით უფრო უბადრუკი იქნება ეს მცდელობა"* (გვ. 69). ამიტომაც შუაგულ ბერლინში გამოფენილი ეს ნახატები მყვირალა კიტჩად მოჩანს. ამავდროულად,

არც არსებული ნაციონალური გარემოც იძლევა ამ სივრცეში ახალი ქრონოლოგიური განზომილების შემოტანის შესაძლებლობას, რადგან ყველაფერს რასაც ამ სივრცეში გიგო შექმნის და მოიმოქმედებს ნაციონალური გარემო და საზოგადოება მყისიერად რიტუალურ წერიგის ნაწილად გარდაქმნის. ტექსტში ამის თალსაჩინო მაგალითია გიგოს მიერ საყოფაცხოვრებო დანიშნულებით აგებულ თავშესაფარი, ხალხმა როგორ გადააკეთა სალოცავ ნიშად. ამდენად, მთხრობელის შეფასებით, გიგოს მცდელობებს შექმნას ახალი ნაციონალური ჰეტეროტემპორალური დრო, პერსპექტივა არ აქვს და ამას მისი სიკვდილის ფორმაც ცხადყოფს. მან სამოცი ხელი პინგპონგი ითამაშა და გულის შეტევით გარდაიცვალა. რაც თავისთავად უაზრო და აბსურდული სიკვდილია.

შესაძლოა, გიგოს მცდელობები უშედეგოა, თუმცა ნაციონალური სივრცე რომ ახალი დროითი ცნობიერებით განახლებას საჭიროებს, ამას ტექსტში ბევრჯერ მიგვანიშნებს ავტორი. ტექსტის დასაწყისში აღნიშნულია, რომ პერსონაჟის მშობლიური სოფლის სახლში საათი გაჩერებულია და მუდმივად ცხრა საათს უჩვენებს *„...გაჩერებულია, – მეუბნება მანანა. შეხსენებასავით, საყვედურივით არის ნთქვამი უნდა მხსომებოდა? მართალია, შარშანაც გაჩერებული იყო, იქნებ შარშანწინაც და ვერ შევამჩნიე?“* (გვ. 31); გაჩერებულ დროისა და უფუნქციო სივრცის აქცენტირებას ახდენს ასევე პერსონაჟის თვითრეფლექსია, სოფელში დაბრუნება პრეისტორიულ წარსულში დაბრუნებას რომ მოაგონებს. „ყოველი წინ გადადგმული ნაბიჯი თითქოს მაბერებდა. ასე მემართება ყოველ ჯერზე, როცა აქ მოვდივარ,“ ამბობს ის.

ყოველივე ამის ფონზე საინტერესოა, სად ხედავს გამოსავალს ავტორი? როგორ უნდა დაუსხლტე არსებულ სივრცეში გაბატონებულ ლოკალურ დროებს, იმისთვის რომ ნაციონალურ სივრცეში ახალი დროითი ცნობირების და ახალი შინაარსების შექმნა შეძლო. ტექსტში რამდენჯერმე გვხვდება სასაფლაო, რომელსაც ერთგვარი ლიმინალური სივრცის ფუნქცია აქვს რადგან ამ ადგილას, ერთი მხრივ, გარკვეული დროითი განცდები და ცნობიერება სრულდება და ამავდროულად, ჩანს ახალი დროითი განცდებისა და შინაარსების წარმოიქმნას პოტენციალიც. ამის სიმბოლო კი, ტექსტის მიხედვით, მთხრობელის მამის საფლავზე შენიშნული მწვანე ენდემური ჯიშის ხვლიკია, კავკასიური გეკონი, რომელიც მთხრობელის მამის აღმოჩენილია და რომლის დევნასაც მისი სიცოცხლე შეეწირა. *„მამაჩემის სიკვდილის მიზეზი მისი მოუსვენრობა იშვიათი სახეობის ხვლიკი და ორი ძლევამოსილი იმპერია გახდა. მე ასე მომწონს ასე მირჩევნია ვიფიქრო, ვდრე ის რომ მამა ნარჩენმა ნაგავმა მოკლა. ჯერ მისთვის იყო შვება საკუთარი სიკვდილის მითად ქცევა და მერე ჩემთვის“* (გვ. 56). ლიტერატურასა და კულტურის კვლევებში ხვლიკი თავისი ტრანსფორმაციისა და რეგენარიისცის უნარის გამო ხშირად გამოყენებული მეტაფორაა როგორც განახლების, ხელახლა დაბადების და ცხოვრების ციკლური ბუნების გამომსახველობის სიმბოლო. აღნიშნულ ტექსტშიც სწორედ ამგვარი სიმბოლური ფუნქცია აქვს ხვლიკს, რომელსაც მთხრობელი მამამისთან აიგივებს. *,,მის დანახვაზე განსაკუთრებით მიტოკდება გული, რადგან ქვაზე მწვანე ხვლიკს ვხედავ. გამირბის სხლტება და ბალახში უჩინარდება Lacerta agilis grusinica – ჩვენია, მხოლოდ ჩვენი, ენდემური. მოუხელთებელია მამაჩემი, მაგრამ კარგად დავინახე, როგორი მოზრდილი და სულ მწვანე იყო. მას მერე რაც მამაჩემზე ნადირობა წამოვიწყე, ყველა მზისგან გახურებული საფლავის ქვა და ზედ გარინდებული ნებისმიერი ქვეწარმავალი მნიშვნელოვანი გახდა. ის თუ მოუხელთებელია, მე ჯიუტი და მოთმინებით სავსე ვარ“* (გვ. 54). ამდენად, ტექსტში საფლავის ქვაზე შენიშნული ხვლიკი, ვფიქრობთ, სწორედ ახალი ნაციონალური დროითი ცნობიერების, იმედის და მომავლის სიმბოლოა. სწორედ ეს იმედი უბიძგებს პერსონაჟს, რომ შეცვალოს არსებული დრო, გარდაქმნას და აავსოს ახალი შინაარსით. მთხრობელს ახალი დროითი ცნობიერების წარმოქმნის შესაძლებლობა ყოველგვარი ცრურწმენებისა და რელიგიური თუ მითოსური შინაარსებისგან დაცლილ სივრცეში წარმოუდგენია. უფრო კონკრეტულდ მწშვნელოვანია ნაცნობ, მშობლიურ გარემოსთან გაუცხოება, რომ კვლავ არსებული რეალობის მძევლად და რიტუალური გარემოს ნაწილად არ გადაიქცეს საზოგადოება. სწორედ ამიტომ ცდილობს მთხრობელი მშობლიურ/ნაცნობ გარემოსგან გაუცხოებას. მშობლიურ სოფელში ჩასული საყვარელ ქალს მოატყუებს, რომ „თითქოს აქაური

არ ვიყავი, ვითომ შემთხვევით გადავუხვიე მთავრი გზიდან და ვიარე, სანამ არ მივადექი პატარა საყდარს და სასაფლაოს ძველი და ახალი საფლავის ქვებით." საკუთარი წინაპრების ბებია -ბაბუ-ების საფლავსაც ისე აუარა გვერდი, რომ არ შეიმჩნია. სწორედ ასე, სასაფლაოზე ჩუმად შეპარული დაქორწინდება საყვარელ ქალზე მიტოვებულ სამლოცველოში. თუმცა ეს რეალური ჯვრისწერა არ ყოფილა. საქორწინო რიტუალი ჩაატარა არა სასულიერო პირმა, არამედ კონფერანსიემ, რომელიც მთელი ცხოვრობა მსახიობობაზე ოცნებობდა და რომელსაც სოფელი უცნაურ შეშლილად მიიჩ-ნევდა. *„იმ დღეს ალდე ვერაფრით ივიწყებს და ჩვენი ქორწილის დღეს ეძახის. რა გინდა, ხომ გვქონდა ქორწილიო ასე მეუბნება დღემდე [...] და მეც ყოველ ჯერზე სულელივით მიხარია, რომ ახსოვს ის დღე და ბებერი უშვილძირო კონფერანსიეს მიერ ფეტიშის ადგილად ქცეული პაწაწინა ნახევრად ჩამოქცეული საყდარი"* (გვ. 44). ამგვარი სახით არსებულ რეალობასთან გაუცხოება საბო-ლოოდ ისეთი ქმედებებისთვისაც ათავისუფლებს სივრცეს, რომელთაც გარემოზე ზემოქმედებისა და მისი გარდაქმნის პოტენციალი აქვს. თუ ამბის მსვლელობისას მთხრობელი უბრალოდ გარემოს აღმწერი იყო, ამბის ბოლოს, კვლავ გიგოს დაკრძალვის რიტუალში მონაწილეს, რეალობისადმი პროტესტი გაუჩნდება და გადაწყვეტს ახალგაზრდა გარდაცვლილი ბიჭის სურათი, რომელიც მის ჭირისუფალს მანქანის საქარე მინაზე ჰქონდა დამაგრებული, საჯაროდ სხვის დასანახად ჰყავდა დატყვევებული, *„მზეზე ახუნებს და თან ადიდებს თავის ტკივილს"* (გვ. 171), გაათავისუფლოს. მთხრობელს ეს სურთი თავისი ბავშვობის მეგობარს ახსენებს. *,,ამას მაინც გავუკეთებ რამეს. მე გავათავისუფლებ ზესკნელსა და ქვესკნელს შორის დატყვევებულს, ტრასებსა და შარაგზებზე ხალხის დასაზაფრად განწირულს, საქარე მინაზე დილის ჩიტივით მიჭყლეტილს, ასე ხილულს და ასე დავიწყებულს"* (გვ. 171). ამიტომ ჩამოგლეჯს მანქანიდან სურათს და შუაზე დახევს, რასაც ცხადია, საზოგადოების აღშფოთება მოჰყვება, ამიტომ სცემენ და მეგობრის დაკრძალვიდან გამო-აგდებენ. თბილისისკენ მომავალი მთხრობელი მატარებელში ადის და ეს, მისი თქმით, განსხვავე-ბით ტექსტის დასაწყისში მოხსენიებული გაჩერებული საათისგან, მაინც მოძრაობის, რაღაც ახა-ლისკენ მიმავალი გზის დასაწყისის სიმბოლოა. ამდენად, ვფიქრობთ, აღნიშნული ტექსტის მიხედ-ვით, ცხადია, რომ დაქვემდებარებულობის სტატუსისგან თავის დაღწევისა და გლობალურ სივრ-ცეში სრულფასოვნად ორიენტირებისთვის, მნშვნელოვანია პოსტკოლონიური გამოცდილებების მქონე საზოაგადოებებმა/ერებმა, ერთი მხრივ, შეძლონ საკუთარი ისტორიის კრიტიკული გადასინ-ჯვა და ამავდროულად, ადგილობრივი სივრცის მოდერნული სეკულარული დროითი ცნობიერე-ბით გარდაქმნა და გაშინაარსება.

გამოყენებული ლიტერატურა:

ქიქოძე არჩილ (2021). ხვლიკი საფლავის ქვაზე. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

Chakrabarty, Dipesh. (2000). Provincializing Europe: Postcolo-nial Thought and Historical Difference. Princeton UP, forthcoming, Princeton,

Chatterjee Partha. (1999). „Anderson's Utopia" *Diacritics*, Volume 29, Number 4, Winter: pp. 128-134.

Fabian Johannes. (1983).Time and the Other: How Anthropology Makes Its Object, Columbia University Press

References:

Chakrabarty, Dipesh. (2000). Provincializing Europe: Postcolo-nial Thought and Historical Difference. Princeton UP, forthcoming, Princeton,

Chatterjee, Partha. (1999). „Anderson's Utopia" *Diacritics*, Volume 29, Number 4, Winter: pp. 128-134.

Fabian, Johannes. (1983).Time and the Other: How Anthropology Makes Its Object, Columbia University Press

Kikodze, Archil. (2021). Khvlik'i saplavis kvaze. [Lizard on a tombstone]. Tbilisi: Bak'ur Sulak'auris gamomtsemloba.